



GEORGIA
HEALTHCARE
GROUP

2025 წლის 15 სექტემბერი

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“
პასუხისმგებელი პირების განცხადება

ვადასტურებთ, რომ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405746634) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით მომზადებული 2025 წლის არააუდიტირებული ნახევარწლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს სს “საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის” ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს. ნახევარწლიური მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ირაკლი გოგია

სს “საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის”
გენერალური დირექტორი

გიორგი ალფაიძე

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2025 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი.....	13
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	14
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	15
5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები.....	15
6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება.....	15
7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	15
8. ნასესხები სახსრები.....	16
9. საკუთარი კაპიტალი.....	17
10. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	17
11. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება.....	18
12. პირობითი ვალდებულებები.....	18
13. რისკის მართვა.....	19
14. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	20
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	21
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23

	შენიშვნა	30 ივნისი, 2025 წ.	31 დეკემბერი, 2024 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	557,699	539,524
გუდვილი და სხვა მატერიალური აქტივები	7	90,630	92,764
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5	-	9,741
გადახდილი ავანსები		10,261	5,106
სხვა აქტივები		21,421	14,778
სულ გრძელვადიანი აქტივები		680,011	661,913
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		28,693	30,852
გადახდილი ავანსები		7,305	6,471
სხვა აქტივები		1,300	11,426
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5	103,117	80,150
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	41,495	38,784
სულ მოკლევადიანი აქტივები		181,910	167,683
სულ აქტივები		861,921	829,596
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	105,280	105,280
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	9,605	7,971
სხვა რეზერვები		252	-
გაუნაწილებელი მოგება		234,298	233,735
სულ საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელისთვის		349,435	346,986
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		34,542	33,170
სულ საკუთარი კაპიტალი		383,977	380,156
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		26,324	26,077
ნასესხები სახსრები	8	145,745	141,707
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		172,069	167,784
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები		43,525	39,575
სავაჭრო ვალდებულებები		28,045	25,750
საიჯარო ვალდებულებები		5,445	6,086
ნასესხები სახსრები	8	220,892	200,540
სხვა ვალდებულებები		7,968	9,705
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		305,875	281,656
სულ ვალდებულებები		477,944	449,440
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		861,921	829,596

1-23 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბრის და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ნიკა წიკლაური

გენერალური დირექტორის მოადგილე

2025 წლის 12 სექტემბერი

	შენიშვნა	30 ივნისი, 2025 წ.	31 დეკემბერი, 2024 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	557,699	539,524
გუდვილი და სხვა მატერიალური აქტივები	7	90,630	92,764
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5	-	9,741
გადახდილი ავანსები		10,261	5,106
სხვა აქტივები		21,421	14,778
სულ გრძელვადიანი აქტივები		680,011	661,913
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		28,693	30,852
გადახდილი ავანსები		7,305	6,471
სხვა აქტივები		1,300	11,426
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5	103,117	80,150
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	41,495	38,784
სულ მოკლევადიანი აქტივები		181,910	167,683
სულ აქტივები		861,921	829,596
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	105,280	105,280
დამატებით შეტანილი კაპიტალი	9	9,605	7,971
სხვა რეზერვები		252	-
გაუნაწილებელი მოგება		234,298	233,735
სულ საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელისთვის		349,435	346,986
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		34,542	33,170
სულ საკუთარი კაპიტალი		383,977	380,156
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		26,324	26,077
ნასესხები სახსრები	8	145,745	141,707
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		172,069	167,784
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები		43,525	39,575
სავაჭრო ვალდებულებები		28,045	25,750
საიჯარო ვალდებულებები		5,445	6,086
ნასესხები სახსრები	8	220,892	200,540
სხვა ვალდებულებები		7,968	9,705
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		305,875	281,656
სულ ვალდებულებები		477,944	449,440
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		861,921	829,596

1-23 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბრის და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ნიკა წიკლაური

გენერალური დირექტორის მოადგილე

2025 წლის 12 სექტემბერი

ნ.წიკლაური

	<i>შენიშვნა</i>	<i>30 ივნისი 2025</i>	<i>30 ივნისი 2024</i>
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	10	233,588	196,543
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	11	(141,190)	(122,895)
საერთო შემოსავალი		92,398	73,648
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6,667	6,130
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(34,125)	(28,313)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(10,478)	(10,611)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(2,647)	(3,553)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,100)	(2,532)
		(49,350)	(45,009)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		49,715	34,769
ცვეთა და ამორტიზაცია		(24,109)	(22,129)
საპროცენტო შემოსავალი		1,839	1,083
საპროცენტო ხარჯი		(23,810)	(18,280)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება		86	(934)
წმინდა არარეგულარული ხარჯი		(1,826)	(1,329)
წლის (წაგება)/მოგება უწყვეტი საქმიანობიდან		1,895	(6,820)
მოგების გადასახადი		-	-
წლის (წაგება)/მოგება, სულ, რომელიც განკუთვნილია:		1,895	(6,820)
- კომპანიის აქციონერებისთვის		563	(9,472)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		1,332	2,652

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტროლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	3,526	135,000	221,637	360,163	33,603	393,766
პერიოდის მოგება				(9,472)	(9,472)	2,652	(6,820)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	(9,472)	(9,472)	2,652	(6,820)
განაწილება მშობელ საწარმოზე	-	-	-	(1,990)	(1,990)	-	(1,990)
საკუთარი აქციების შესყიდვა	-	-	-	-	-	(291)	(291)
წილობრივი ანაზღაურება	-	2,485	-	-	2,485	-	2,485
30 ივნისი, 2024 წ.	-	6,011	135,000	210,175	351,186	35,964	387,150

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტროლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2024 წ.	105,280	7,971	-	233,735	346,986	33,170	380,156
პერიოდის მოგება				563	563	1,332	1,895
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	563	563	1,332	1,895
შვილობილი საწარმოს მიერ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-	-	(211)	(211)
საკუთარი აქციების შესყიდვა	-	(1,200)	-	-	(1,200)	-	(1,200)
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ საწარმოში	-	-	266	-	266	251	517
წილობრივი ანაზღაურება (15-ე შენიშვნა)	-	2,834	-	-	2,834	-	2,834
სხვა	-	-	(14)	-	(14)	-	(14)
30 ივნისი, 2025 წ.	105,280	9,605	252	234,298	349,435	34,542	383,977

	შენიშვნა	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		207,861	183,355
გადახდები მომწოდებლისთვის და გადახდილი პირდაპირი ხელფასები		(138,042)	(135,402)
გადახდები სხვა თანამშრომლებისთვის		(35,953)	(32,705)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		33,866	15,248
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(31,547)	(26,482)
მიღებული პროცენტი		1,218	873
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		2,320	28,973
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(28,009)	3,364
საფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ საწარმოებში		(113)	(810)
უმცირესობის წილის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები		(3,143)	-
განაწილება მშობელ საწარმოზე		-	(1,327)
აღებული სესხები და გამოშვებული ობლიგაციები		59,200	208,487
სესხების და გამოშვებული ობლიგაციების გადახდა		(34,557)	(222,035)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის გადახდა		(1,336)	(724)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა		(1,033)	(777)
გადახდილი პროცენტი		(21,898)	(18,015)
ფინანსური საქმიანობაში (გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,880)	(35,201)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(266)	(212)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		2,711	(16,801)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		38,784	34,271
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს		41,495	17,470

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2024 წლის 17 დეკემბერს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება (რეგისტრაციის ნომერი 405746634). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. 24ა. კომპანია და მისი შვილობილი საწარმოები ქვემოთ ერთად მოიხსენიებიან „ჯგუფად“ ან „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფად“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (რეგისტრაციის ნომრით 405746634) მიიჩნევა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (რეგისტრაციის ნომრით 405098399) (“GHG Oldco”) ჯანდაცვის ბიზნესის გაგრძელებად, წარმოდგენილი საავადმყოფოების, კლინიკებისა და დიაგნოსტიკური სექტორებით, რომელმაც 2024 წლის დეკემბერში რეორგანიზაცია განიცადა და სახელი შეეცვალა სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფით“. რეორგანიზაციის შედეგად კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო და/ან მისი შვილობილი საწარმოები არ შეცვლილა.

2025 წლის 30 ივნისისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების საბოლოო მშობელი საწარმო იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“.

კომპანია მოიცავდა საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება		საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შემქნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	30-ივნ- 2025	31-დეკ- 2024				
შვილობილი კომპანიები						
სს „ვიანი“	100%	100%	ჯანდაცვა	30-ნოემბ.-23	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „ვიანი“	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-22	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“	99.8%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-12	30-ივნ.-15	ქავთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს „ვიან-ლოჯისტიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-15	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო- დიაგნოსტიკური ცენტრი“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	5-მაის.-03	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. 85, ქუთაისი, საქართველო
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-04	29-ნოემბ.-11	ა. ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
შპს „ბონო ჰელსქეარ“	100%	100%	ჯანდაცვა	15-ივნ.-23	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „საქართველოს კლინიკები“	100%	100%	ჯანდაცვა	1-აგვ.-14	1-აგვ.-14	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-13	1-მარტ.-15	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
სს „პედიატრი“	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-03	6-ივლ.-16	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს „საქართველოს კლინიკები“*	100%	100%	ჯანდაცვა	29-სექტ.-23	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ევექსი“	100%	100%	ჯანდაცვა	11-იანვ.-24	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „პოლიკლინიკა ვერე“	98.4%	98.4%	ჯანდაცვა	22-ნოემბ.-13	25-დეკ.-17	თბილისი, ა. ზელიაშვილის ქ. 142
შპს „ნიუ დენტი“	75%	75%	ჯანდაცვა	24-დეკ.-18	არა	თბილისი, ა. ზელიაშვილის ქ. 142
შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	29-სექტ.-99	29-ნოემბ.-11	ერისთავის ქ. 16, წყალტუბო, საქართველო
შპს „მკურნალი 2002“	100%	100%	ჯანდაცვა	8-აპრ.-04	1-დეკ.-23	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24ა
სს „მეგა-ლაბი“	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	6-ივნ.-17	არა	პ. ქავთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს „მატჯეო“	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	13-იანვ.-10	1-აგვ.-16	მუხიანის II მ/რ, 22/1ა, თბილისი, საქართველო
სს „ვაბაკო“ ¹	-	100%	პროგრამირება	9-სექტ.-13	28-სექტ.-18	ბოჭორიშვილის ქ. 37, თბილისი, საქართველო
შპს „ვაბაკო ინტერნეიშენალ“	100%	100%	პროგრამირება	30-მარტ.-23	არა	ა. წერეთლის გამზირი #123, თბილისი, საქართველო
სს „ექიმო“	100%	100%	პროგრამირება	14-დეკ.-21	არა	ა. წერეთლის გამზირი #123, თბილისი, საქართველო
შპს „ექიმო აპი“	100%	100%	პროგრამირება	5-დეკ.-23	არა	უნივერსიტეტის ქ. 24, თბილისი, საქართველო
შპს „აიტიფაი“	100%	100%	სხვა	1-თებ.-23	არა	თბილისი, ა. ზელიაშვილის ქ. 142

¹ * 2025 წლის 28 აპრილს სს „ვაბაკო“ შეერწყა სს „ვიანს“

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება		საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეგენის თარიღი	იურიდიული მისამართი
	30-ივნ- 2025	31-დეკ- 2024				
მეკავშირე საწარმოები						
სს „დიფლექსი“	40%	40%	სხვა	29-დეკ.-16	12-ნოემბ.-21	ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქ. #8, თბილისი, საქართველო

ჯგუფი ასევე მონაწილეობდა შემდეგ არაკომერციულ ორგანიზაციებში საქართველოში.

არაკომერციული ორგანიზაციები	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	იურიდიული მისამართი
ა(ა)იპ „სისხლის ცენტრი“	ჯანდაცვა	23-დეკ-21	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი
ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	სხვა	20-დეკ-13	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი
ა(ა)იპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „მეგალაბი“	სხვა	25-მაის-21	თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. 23
ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“	ჯანდაცვა	25-მარტ-16	ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, თბილისი, საქართველო
აიპ „საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო“	ჯანდაცვა	16-მაის-19	კორპ. N10, N13ბ, 1-2 სართული, ნუშის ბაღების ქუჩა N1, წყნეთი, ვაკის რაიონი, თბილისი, საქართველო

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ყველა ინფორმაციას რომელიც სავალდებულოა ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოთხოვს მენეჯმენტის მიერ გარკვეული დაშვებების გაკეთებას, რომლებიც ზეგაღწეას ახსენს მოგება-ზარალისა და აქტივებისა და ვალდებულების თანხებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ბალანსებზე იმ თარიღისათვის, რომელი თარიღისთვისაც ეს ანგარიშგება არის მომზადებული. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის ეს დაშვებები დამყარებულია მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებაზე, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული დაშვებებისაგან.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა გამონაკლისი სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულ იქნა 2025 წლის 1 იანვარს. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. 2025 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024
ნაღდი ფული	151	285
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	41,344	38,499
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	41,495	38,784

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024
მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ	127,518	90,091
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ და სხვა მოთხოვნები	15,378	49,417
მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიების მიმართ	18,011	4,407
	160,907	143,915
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(57,790)	(54,024)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	103,117	89,891
გრძელვადიანი	-	9,741
მოკლევადიანი	103,117	80,150

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2025 წლის 30 ივნისისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 557,699 ლარია (2024 წ.: 539,524 ლარი). კომპანიის ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 794,678 ლარს შეადგენდა (2024 წ.: 755,993 ლარი), ხოლო დაგროვილი ცვეთა 236,979 ლარს (2024 წ.: 216,469 ლარი).

7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის ტესტირებას ყველაზე დაბალ, საოპერაციო სეგმენტის, დონეზე მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელობა. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ, ერთიდან სამ წლამდე ვადის, ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე. დაშვებებში გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებები არ გამოიწვევდა გუდვილის გაუფასურებას.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

- დისკონტირების განაკვეთი გამოთვლილია კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით დარგის ბეტა კოეფიციენტზე დაყრდნობით.
- საშუალო, სტაბილური 5%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა ნავარაუდები იქნა 2028 წლისა და მისი შემდგომი წლებისთვის გაკეთებული გარე სტატისტიკური პროგნოზების საფუძველზე.

ბიზნესგეგმის პირველი სამი წლისთვის შემდეგი დამატებითი დაშვებები გაკეთდა:

- დამატებითი სინერგიები გაზრდის ხარჯთეფექტიანობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ფინანსურ ბერკეტებს;
- სხვა ჯანდაცვის მომსახურების მიმართულებების ზრდა მაღალი საბაზრო მოთხოვნიდან და ეკონომიკური ზრდის ფაქტორიდან გამომდინარე.

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 2025 წლის 30 ივნისისთვის 68,647 ლარია (2024 წ.: 71,611 ლარი). კომპანიის არამატერიალური აქტივების თვითღირებულება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 97,019 ლარს შეადგენდა (2024 წ.: 99,030 ლარი), ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია 28,372 ლარს (2024 წ.: 27,419 ლარი). 2025 და 2024 წლებში ჯგუფს არ გაუსხვისებია თავისი არამატერიალური აქტივები. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურება (30 ივნისი 2024 წ.: ნული).

8. ნასესხები სახსრები

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები
მთლიანი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

30 ივნისი 2025

193,313
8,384
19,195
220,892

31 დეკემბერი
2024

163,890
13,459
23,191
200,540

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები
მთლიანი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები
ნასესხები სახსრები, სულ

30 ივნისი 2025

137,677
8,068
145,745
366,637

31 დეკემბერი
2024

136,134
5,573
141,707
342,247

2025 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის ბოლოს, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 11.0% იყო (2024 წ.: 10.7%), ხოლო ვადა - 365 დღე (2024 წ.: 365 დღე), ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 12.3% იყო (2024 წ.: 12.5%), ხოლო ვადა - 1,419 დღე (2024 წ.: 1,529 დღე). დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ სახსრებს ჰქონდა 6.0% საშუალო საპროცენტო განაკვეთი (2024 წ.: 5.9%), და 748-დღიანი ვადა (2024 წ.: 960 დღე). ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება.

9. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მიმოქცევაში არსებული „ა“ კლასის აქციების რაოდენობა იყო 105,279,519 (2024 წ.: 105,279,519), ხოლო „ბ“ კლასის - 664,210 (2024 წ.: 664,210) თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული.

კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, სხვა რეზერვებისგან და არასაკონტროლო პაკეტებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

10. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	125,177	107,154
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	90,499	74,948
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	20,438	17,015
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(2,526)	(2,574)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	233,588	196,543

სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავალი.

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	103,117	89,891

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

11. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(90,490)	(78,511)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(37,479)	(32,403)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(12,289)	(11,223)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(932)	(758)
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(141,190)	(122,895)

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2025 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდით შეადგენდა 34,125 ლარს (30 ივნისი 2024 წ.: 28,313 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2025 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 124,615 ლარი (30 ივნისი 2024 წ.: 106,824 ლარი).

12. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფს არ ჰქონდა პირობითი საიჯარო ქირა ან ქვეიჯარის გადახდები.

13. რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა

<i>30 ივნისი 2025 წ.</i>	<i>ერთ წელზე ნაკლები</i>	<i>ერთ წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	41,495	–	41,495
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	103,117	–	103,117
მარაგები	28,693	–	28,693
გადახდილი ავანსები	7,305	10,261	17,566
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	557,699	557,699
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	90,630	90,630
სხვა აქტივები	1,300	21,421	22,721
სულ აქტივები	181,910	680,011	861,921
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	43,525	–	43,525
სავაჭრო ვალდებულებები	28,045	–	28,045
საიჯარო ვალდებულებები	5,445	26,324	31,769
ნასესხები სახსრები	128,524	238,113	366,637
სხვა ვალდებულებები	7,968	–	7,968
სულ ვალდებულებები	213,507	264,437	477,944
ნეტო პოზიცია	(31,597)	415,574	383,977

<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38,784	–	38,784
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	80,150	9,741	89,891
მარაგები	30,852	–	30,852
გადახდილი ავანსები	6,471	5,106	11,577
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	539,524	539,524
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	92,764	92,764
სხვა აქტივები	11,426	14,778	26,204
სულ აქტივები	167,683	661,913	829,596
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	39,575	–	39,575
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	–	25,750
საიჯარო ვალდებულებები	6,086	26,077	32,163
ნასესხები სახსრები	70,579	271,668	342,247
სხვა ვალდებულებები	9,705	–	9,705
სულ ვალდებულებები	151,695	297,745	449,440
ნეტო პოზიცია	15,988	364,168	380,156

13. რისკის მართვა (გაგრძელება)

თანხები და ვადები ვალდებულებებთან მიმართებაში ეყრდნობა მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებას, რომელსაც ხელს უწყობს სტატისტიკური ტექნიკა და წარული გამოცდილება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის ამჟამინდელი დონე საკმარისია ყველა მისი ამჟამინდელი ვალდებულებების შესასრულებლად და ვალდებულებების დროულად დასაფარად.

14. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამარ-თლიანი ღირებუ-ლება 30-ივნ-25	საბალანსო ღირებულება 30-ივნ-25	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 30-ივნ-25
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული						
აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის						
ინვესტიციები, ფლობილი	7,945	-	-	7,945	7,945	-
სამართლიანი ღირებულებით						
მოგებაში ან ზარალში ასახვით						
აქტივები, რომელთა სამართლიან						
ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია						
წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი	-	41,495	-	41,495	41,495	-
ეკვივალენტები						
ჯანდაცვის მომსახურებიდან	-	-	103,117	103,117	103,117	-
მისაღები ანგარიშები						
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	498	498	498	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან						
ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია						
წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	365,987	365,987	366,637	650
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	28,045	28,045	28,045	-

14. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამარ-თლიანი ღირებუ-ლება 31-დეკ-24	საბალანსო ღირებულება 31-დეკ-24	აუდიარებული შემოსულობა (ზარალი) 31-დეკ-24
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,945	-	-	7,945	7,945	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	38,784	-	38,784	38,784	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	89,891	89,891	89,891	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	736	736	736	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	341,673	341,673	342,247	574
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	25,750	25,750	25,750	-

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მისაღები ანგარიშის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	30 ივნისი, 2025 წ.		31 დეკემბერი, 2024 წ.	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია*	საწარმოები**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია*	საწარმოები**
აქტივები				
ჯანდაცვის მომსახურებიდან დაკავშირებული მოთხოვნები	–	12,879	–	12,983
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (ჯანდაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები)	–	(485)	–	(425)
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარები	–	53	–	902
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (საოპერაციო იჯარები)	–	(30)	–	(30)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები: სხვა	–	1,418	–	2,351
	–	13,835	–	15,781
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	–	7,566	–	6,279
ნასესხები სახსრები	–	15,974	–	19,032
გაცემული ფინანსური გარანტიები (მაქსიმალური მოცულობა)	–	36,190	–	36,190
	–	59,730	–	61,501

	30 ივნისი, 2025 წ.		30 ივნისი, 2024 წ.	
შემოსავალი, ხარჯები და შესყიდვები				
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	–	7,445	–	5,834
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულებასთან დაკავშირებული შესყიდვები	–	(1,016)	–	(1,657)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების და სხვა აქტივების გაუფასურება	–	(33)	–	(31)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(41)	–	(64)
საპროცენტო ხარჯი	–	(131)	–	(25)
საკურსო სხვაობა	–	–	–	(51)
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	(270)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	378	872
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	1,548	918
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება*	1,926	1,790

* უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოთი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


2025 წლის თებერვალში კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 350 მილიონ ლარში გამოხატული სოციალური ობლიგაციების გამოშვება. ობლიგაციების გამოშვების მიზანია კაპიტალური დანახარჯებისთვის ფულადი სახსრების მოპოვება და არსებული საბანკო სესხების რეფინანსირება. ობლიგაციების მიზანია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ინიციატივების მხარდაჭერა და მათი შესაბამისობაში მოყვანა სტრატეგიულ ამოცანებთან. ობლიგაციების ემისიის თარიღია 2025 წლის 17 სექტემბერი. ობლიგაციებს აქვს 5-წლიანი ვადიანობა და ცვლადი კუპონი, რომელიც განისაზღვრება თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთით (Non-Cumulative Compounded Daily TIBR) პლუს 375 საბაზო პუნქტი. ობლიგაციები გამოშვებულია ნომინალურ ფასში და Scope Ratings-ის მიერ შეფასებულია BB- რეიტინგით.



შინაარსი

მმართველობის ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა2
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება8
3. არაფინანსური ანგარიშგება9



საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ („კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2024 წლის 17 დეკემბერს (რეგისტრაციის ნომერი 405746634). კომპანიის იურიდიული მისამართია: სულხან ცინცაძის ქუჩა #24ა, თბილისი, საქართველო. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები მოიხსენიებიან როგორც „ჯგუფი“ ან „GHG“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს პაციენტებს სტაციონარული და ამბულატორიული მიმართულებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების, კლინიკებისა და ლაბორატორიის მეშვეობით.

2025 წლის 30 ივნისისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების საბოლოო მფლობელი იყო Georgia Capital PLC („GCAP“), რომლის რეგისტრაციის ადგილია ლონდონი, ინგლისი.



ჯგუფის უმსხვილესი დებიტორი სახელმწიფოა, რომლის მიმართაც ჯგუფს მოთხოვნა გააჩნია „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (შემდგომში „სჯპ“) ფარგლებში. ეს პროგრამა სახელმწიფომ 2013 წელს შემოიღო და ის ფარავს საქართველოს მთელს მოსახლეობას, მათ შორის 2 მილიონზე მეტ ისეთ ადამიანს, რომლებსაც ამ პროგრამის შემოღებამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა.

პროგრამის დანერგვა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

● მარტი 2013

უფასო გადაუდებელი სტაციონარული და ლიმიტირებული ამბულატორიული სერვისების შეთავაზება მოხდა იმათთვის, ვინც აქამდე არ სარგებლობდა სახელმწიფო ან კერძო სადაზღვევო სერვისებით (დაახლ. 2 მილიონი ადამიანი, მათ შორის 6 წელს ზემოთ ბავშვები და მოზარდები).

● ივლისი 2013

სჯპ გაფართოვდა და მოიცვა ინტენსიური თერაპია, გეგმიური თერაპია, გეგმიური ქირურგია, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაც (მათ შორის რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია და ჰორმონალური თერაპია) და ასევე მშობიარობის ხარჯები;

● აპრილი 2014

ჯსპ-მ ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს 2007 წლიდან;

● სექტემბერი 2014



სჯპ-ს ჩაანაცვლა მეორე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა (165-3 დადგენილების შესაბამისად), რომელიც ემსახურებოდა პენსიონერებს, 6 წლამდე ბავშვებსა და სტუდენტებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ჰოსპიტლები

ჯგუფი ჯამში ფლობს 34 ჰოსპიტალს, აქედან 7 დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოა, ხოლო 27 კი რეგიონული ჯამში 2,233 საწოლით. ჯგუფი ფლობს 16 პოლიკლინიკას, რომელიც მომხმარებლებს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს სთავაზობს. 16 პოლიკლინიკიდან 12 თბილისის ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო დარჩენილი 4 რეგიონებში.





ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

233,588,000 ლ

საერთო მოგება

92,398,000 ლ

EBITDA¹

49,715,000 ლ

წლის მოგება

1,895,000


¹შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის ღირებულებების (EBITDA)

ჯგუფისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის ღირებულებების. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის ღირებულებების განისაზღვრება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი



ბიზნესის სტრუქტურა

ჯგუფი არის ჯანდაცვის მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიჭირავს ბაზარზე შეთავაზებული სერვისების რაოდენობით, აგრეთვე სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. ჯგუფის მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.





საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

ჯგუფი ცდილობს გააფართოვოს შემოსავლის წყაროები და, ამ გზით, შეამციროს დამოკიდებულება სჯპზე. ამ მიზნით ჩვენ განვაგრძნობთ გეგმიური და შერჩევითი სერვისების რაოდენობის ზრდას, ასევე ვაფართოვებთ პოლიკლინიკების მიმართულებას რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავლის წილის შემცირებაში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კოდექსის პრაქტიკის მიმოხილვა

ჯგუფი მაღალ დონეზე ინარჩუნებს კორპორაციული მართვის სტანდარტებს, სამეთვალყურეო საბჭოში შემავალი პირები კარგად იცნობენ ჯგუფის წესდების სტანდარტებს.

მმართველობითი ორგანო

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის. სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები პასუხისმგებელია ჯგუფის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. საბჭო ასევე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და მიტიგაციაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი არაადმასრულებელი წევრისაგან. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად. საბჭოს აქვს ფორმალური და გამჭვირვალე პროცესები წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. მიზანი არის, რომ საბჭო კარგად იყოს დაბალანსებული და იდეალურად მოერგოს ბიზნესის ინტერესებს. ჯგუფი მუდმივად ცდილობს, რომ აღმოფხვრას უკანონო და უსამართლო დისკრიმინაცია. სამეთვალყურეო საბჭო მიესალმება დივერსიფიკაციას ყველა ფორმით, რომელიც ასახულია მის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. დივერსიფიცირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგია და სხვა ფაქტორები მხვედველობაში იქნება მიღებული ახალი დირექტორის დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის დანიშვნის დროს, გადაწყვეტილება ყოველთვის კანდიდატის დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული.

არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჯგუფის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით ჯგუფში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში. სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნელ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირებაა შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ ნორმებს, რომელიც ჩვენს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული:

<http://ghg.com.ge/uploads/files/Environmental%20and%20Social%20Policy.pdf>

სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც ჯგუფშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად. ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. ჯგუფში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატი დაურიგდათ. თითოეულ კლინიკაში სპეციალიზებული ოთახებია შექმნილი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით ჯგუფი სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს საერთო წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში, ასევე ჩვენ გავზარდეთ მომსახურების მრავალფეროვნება და სერვისების რაოდენობა, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა 10,261-ზე მეტს შეადგენდა, რაც ჯგუფს ერთერთი უმსხვილეს დამსაქმებლად აქცევს ქვეყანაში. ჯგუფი სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს დასაქმების ყველა აპლიკაციას, რომელიც შმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.



ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჯგუფი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე. ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია ჯგუფში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე. ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება. კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/antibribery-and-anticorruption-policy-20.pdf>

დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანიის მიერ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/Diversity%20policy.pdf>

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული ბიზნეს მოდელი, სადაც პოლიკლინიკები ხშირად არის მომხმარებელთან ინტერაქციის პირველი წერტილი, რის შემდეგაც ისინი გადამისამართდებიან სპეციალიზებულ ან რეგიონულ ჰოსპიტლებში. სერვისების მოკლე აღწერა გამოიყურება შემდეგნაირად:

პოლიკლინიკა: მომხმარებელს სთავაზობს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს.

რეგიონული საავადმყოფო: მომხმარებელს სთავაზობს გაფართოვებულ ამბულატორიულ სერვისებს, ასევე რიგ მულტიპროფილურ სტაციონარულ სერვისებს.

სპეციალიზებული საავადმყოფო: მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსური და სპეციალური სერვისების ფართო სპექტრს, სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს.

დიაგნოსტიკური ცენტრი: მომხმარებელს სთავაზობს როგორც საბაზისო ლაბორატორიულ ტესტებს, ასევე ონკოლოგიურ და მოლეკულურ კვლევებს მაღალი სიმძლავრის ავტომატიზებული სისტემების დახმარებით.

საქმიანობის რისკების ანალიზი

ჯგუფი ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვევლობები არსებობს, რომელთა უგულობელიყოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უბრალოდ სთეიქჰოლდერების ინტერესების დასაცავად. ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიაზრებს რეპორტირებას. სამეთვალყურეო საბჭო და ჯგუფის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- ჯგუფი ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება ჯგუფის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. ჯგუფში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა ჯგუფმა კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. ჯგუფის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. ჯგუფში რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.
- ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, შემდგომი განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედლებისა და სხვა

პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და ჯგუფი ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.

- ჯგუფი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. ჯგუფი ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.
- ჯგუფს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2017 წელს, ჯგუფმა დააარსა კორპორატიული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2025 წლის ბოლომდე გაწერილია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჯგუფი ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი

- საწოლფონდი: 2,233
- დიდი ზომის რეფერალური ჰოსპიტლების საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: 72.1%
- რაიონული საავადმყოფოების საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: 72.2%
- რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა: c768,000
- მეგა-ლაბის მიერ გაკეთებული ტესტები რაოდენობა: c1,400,000

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

ჯგუფში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნელ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება. ჯგუფში დანერგილია ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია. ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი გუნდი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს ჯგუფში.